

ხელშეკრულება № 163
(სახელმწიფო შესყიდვის შესახებ)

08 სექტემბერი 2016 წ.

ქ. თბილისი

ერთის მხრივ სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი“ (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის თეიმურაზ ასათიანის სახით და მეორეს მხრივ შპს „კომპანია GEOSM“ (შემდგომში – მიწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის თეიმურაზ ახოზაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს¹ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია საკუთარი შემოსავლებით, 1.2-ე მუხლით განსაზღვრული საქონელის სახელმწიფო შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

1.2

დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი
მაგნიტური თეთრი დაფა 60x90 სმ	3 ცალი	28.50

1.3 კლასიფიკატორის კოდი: CPV – 30195000 დაფები;

2. ხელშეკრულების ღირებულება, ანგარიშსწორება

- 2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 85.5 (ოთხმოცდახუთი ლარი და 50 თეთრი) ლარს;
- 2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებსა და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ხარჯებს;
- 2.3 შემსყიდველი ვალდებულია განახორციელოს უნაღდო ანგარიშსწორება მიწოდებელთან, ეროვნულ ვალუტაში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადები და ადგილი

- 3.1 ხელშეკრულების საგნის შემსყიდველისათვის გადაცემა მოხდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 09 სექტემბრის ჩათვლით;
- 3.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, გლდანი მე-5 მ/რ, ხიზანიშვილის ქუჩა, გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის შენობა (საცურაო აუზის მოპირდაპირედ).

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის მხრიდან საამისოდ უფლებამოსილ წარმომადგენელთა ხელმოწერით;
- 4.2 მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში, ინსპექტირების განხორციელების დასრულებისას. ინსპექტირება მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისთანავე, ასევე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

5. მხარეთა მოვალეობანი

- 5.1 შემსყიდველი ვალდებულია:
- ✓ წერილობითი ფორმით აცნობოს მიმწოდებელს ინსპექტირების დროს აღმოჩენილი ნაკლის შესახებ;
 - ✓ გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა;
- 5.2 მიმწოდებელი ვალდებულია:
- ✓ გადასცეს შემსყიდველს მაღალი ხარისხის, ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ხელშეკრულების საგანი შეთანხმებული პირობებით ;
 - ✓ უზრუნველყოს ხელშეკრულების ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრა;

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

- 6.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტებლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 1%-ის ოდენობით;
- 6.2 ხელსეკრულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში (გარდა ფორსმაჟორული გარემოებისა) დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტებლო ხელშეკრულების ღირებულების 20%-ის ოდენობით.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, შეწყვეტა

- 7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;
- 7.2 ხელშეკრულება ვადაზე ადრე შესაძლებელია შეწყდეს მეორე მხარისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, თუ ვალდებულების დარღვევის გამო გაგზავნილ წერილობით შეტყობინებას, მითითებულ გონივრულ ვადაში ვალდებულების შესრულების შესახებ არ მოყვება რეაგირება დამრღვევი მხარისაგან, აგრეთვე ფორს-მაჟორული გარემოების შემთხვევაში.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

- 8.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ცვლილება დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- 8.2 ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობის დადგომისას, დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამურის ღირებულების გაზრდა 10%-ზე მეტი ოდენობით.
- 8.3 ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობით, მხარეთა შეთანხმებით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

9. ფორს-მაჟორი

- 9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ეპიდემიები, კარანტინი, მორატორიუმი, ემბარგო, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე;
- 9.2 მხარე, რომელსაც შეექმნება ფორს-მაჟორი გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. სხვა პირობები

- 10.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;
- 10.2 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან).

11. მხარეთა რეკვიზიტები

სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი“
 მის: მცხეთა მთიანეთის რეგიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი
 საიდენტიფიკაციო კოდი: 236098851
 სახელმწიფო ხაზინა
 კოდი: TRESGE22
 ანგ. № 200122900
 ელ- ფოსტა: tmkcommunitycollege@gmail.com
 ტელ: (995 32) 210 30 29

დირექტორი
 თეიმურაზ ასათიანი



შპს „კომპანია GEOSM“

მის: ქ. თბილისი, მ. ასათიანის #14
 საიდენტიფიკაციო კოდი: 404873614
 ს.ს პროკრედიტ ბანკი
 კოდი: MIBGGE22
 ანგ. № GE45PC0223600100010827
 ელ- ფოსტა: info@geosm.ge
 ტელ: (995 32) 272 91 19

დირექტორი
 თეიმურაზ ახოზაძე

